ეროვნული ბიბლიოთეკა


# ახალგაზრდა ივერიელი

გამოდის 1921 წლიდან

შაბათი 18 აგვისტო № 88 (11574) 1990

ახალგაზრდული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

ფასი 3 კაპ.


## გუშინ თბილისში მუშაობა დაიწყო საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს მე-11 მოწვევის მე-16 სესიამ, რომელზეც საქართველოსთვის უმნიშვნელოვანესი საკითხები წყდება

















# საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის პლენუმი

**16 აგვისტოს** თბილისში გაიმართა საქართველოს ჟურნალისტთა დამოუკიდებელი კავშირის პირველი პლენუმი. მიუხედავად იმისა, რომ ამ შემოქმედებითი კავშირის დამფუძნებელი ყრილობის შემდეგ სულ ოთხი თვე გავიდა, სამდივნომ საჭიროდ მიიჩნია გამგეობისათვის ჩაებარებინა ანგარიში ამ ხნის მანძილზე გაწეული მუშაობის შესახებ. თითქოსდა, სარისკოა ესოდენ მოკლე პერიოდის საქმიანობის შედეგები განიხილო პლენუმზე, რომელიც ფაქტობრივად უნდა მიძღვნოდა წმინდა ორგანიზაციული საკითხების გადაჭრას, მაგრამ როგორც სინამდვილეში აღმოჩნდა, განვლილი დროის მანძილზე ჩვენმა კავშირელმა კოლეგებმა, რომლებსაც ხმა მიეცით დამფუძნებელ ყრილობაზე, იმაზე რამდენჯერმე უფრო მეტ კონკრეტულ საქმეს მოაბეს თავი, ვიდრე ჩვენ, ზოზინს დაჩვეულნი მოველოდით.

ავიღოთ თუნდაც ის ფაქტი, რომ საქართველოს ჟურნალისტიკის პენსიაზე მყოფი 90 ვეტერანი ახლა იღებს თავისი არცთუ დიდი პენსიის სოლიდურ დანამატს. სხვათა შორის, პლენუმზე გულისტკივილით შევიტყვეთ, რომ საქართველოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა კიდევ 300-მდე ყოფილი (საწყენი სიტყვაა — ყოფილი) პენსიონერი ჟურნალისტთა კავშირის წევრი ელის თავის რიგს ამგვარი დახმარების საკითხის განხილვაში.

გასაგებია, რომ ასეთ სიტუაციაში კავშირს, შემოქმედებითს საკავშირებთან ერთად, უხდება მთელი ძალ-ღონე მოახმაროს იმას, რომ განიმტკიცოს მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და ამით შეძლებისდაგვარად ხელი შეუწყოს ჟურნალისტთა მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებას. ამ მიზნით კავშირთან შექმნილია სამი კოოპერატივი, რომელთაგან ორი წიგნის გამომცემლობის საქმიანობას განახორციელებს. რას ნიშნავს ეს? იმას, რომ წიგნის პროდუქციის გამოშვების გარდა, კოოპერატივები გამოსცემენ ჟურნალისტთა შემოქმედებითი პროდუქციის კრებულებს. გარდა ამისა, გამოდის ჟურნალისტთა პროფესიული გაზეთი „7 დღე", რომელიც, ვიტყვით ჩვენი მხრივ, ურიგო არ გამოვიდა. პერსპექტივაში ამ გამოცემამ ასევე უნდა მოიტანოს შემოსავალი.

პლენუმზე ლაპარაკი იყო აგრეთვე საქველმოქმედო საქმიანობაში კავშირის მონაწილეობის შესახებ. მაგალითად, გადარიცხულია გარკვეული თანხები მერაბ კოსტავას ფონდში, შეძენილია საცხოვრებელი სახლი სვანეთში ჩვენი კოლეგის — მრავალშვილიანი დედისათვის. ზოგი რამ გაკეთდა საბინაო პრობლემის გადასაჭრელადაც. პლენუმზე მადლობით მოიხსენიეს საქართველოს სამხატვრო აკადემიის ხელმძღვანელობა, რომელმაც ჟურნალისტთა კავშირს დაუთმო ოცი ადგილი ბინათსამშენებლო კოოპერატივის სახლში, რომელიც მომავალში აშენდება.

როგორ წყდება შემოქმედებითი საკითხები? არა, ისინი სულაც არ არის დატოვებული უყურადღებოდ, მაგრამ ჩვენ, უპირველეს ყოვლისა, ვილაპარაკეთ სამეურნეო საქმეებზე იმიტომ, რომ შემოქმედება სულაც არ ნიშნავს ცხოვრების ელემენტარული პირობების უგულებელყოფას, პირიქით, გულისხმობს მათს აუცილებელ არსებობას. თუმცა, ჩვენ დიდხანს ჩაგვაგონებდნენ ამ საკითხების დიამეტრულად საწინააღმდეგო გაგებას, რის წყალობითაც, ალბათ, როგორც პლენუმზე აღინიშნა, ამჟამად საქართველოს თითქმის ყველა ჟურნალისტი მატერიალურ გაჭირვებას განიცდის.

და მაინც, ამ ოთხი თვის მანძილზე მოეწყო შემოქმედებითი კონკურსები, რეგიონების დღეები, როცა იმართებოდა შეხვედრები ჟურნალისტებთან, რომელთა მუშაობის პირობებსაც დედაქალაქურს ვერ უწოდებ (თუმცა, არც დედაქალაქში ვართ დალხენილნი), დაისახა საერთო ღონისძიებანი და ა. შ.

პლენუმის მონაწილეებმა გამოხატეს თავიანთი დამოკიდებულება საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნების შესახებ გამოქვეყნებული კანონის პროექტებისადმი. (საქინფორმი).

# საქართველოს ჟურნალისტთა დამოუკიდებელი კავშირის გამგეობის საპროტესტო განცხადება

**1990 წლის 3 ივლისს საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის მინისტრმა ვლადიმერ ილიას ძე კობახიძემ გამოსცა ბრძანება (№ 01/122), რომელიც ეფუძნება სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სამინისტროს 1990 წლის 29 ივნისის № 3219 მითითებას (დიახ, მითითებას და არა ბრძანებას!).**

**ამ ბრძანების თანახმად, ჟურნალ-გაზეთების გავრცელების, ექსპედირების, გადაზიდვისა და მიტანისათვის გადასახდელმა თანხამ გამოცემათა ღირებულების 50,6 პროცენტი უნდა შეადგინოს.**

**საქართველოს ჟურნალისტთა დამოუკიდებელი კავშირის გამგეობას მიაჩნია, რომ ეს არის ანტიდემოკრატიული და ანტიეროვნული გადაწყვეტილება, რადგან იგი ხელს უშლის, უწინარეს ყოვლისა, თავისუფალი პრესის არსებობას, ამასთანავე, კიდევ უფრო გააუარესებს პრესის მუშაკთა ისედაც სავალალო მატერიალურ მდგომარეობას, მძიმე ტვირთად დააწვება ჟურნალ-გაზეთების მკითხველებსაც.**

**აქედან გამომდინარე, მოვითხოვთ:**

**1. საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის მინისტრმა გააუქმოს თავისი ზემოხსენებული ბრძანება, რადგან, ჩვენი აზრით, საკავშირო კავშირგაბმულობის სამინისტროს მითითება, რომელსაც ეს ბრძანება ეფუძნება, განზრახ არის მიმართული თავისუფალი პრესის, და აქედან გამომდინარე, დემოკრატიის წინააღმდეგ.**

**2. თუ ამ საკითხის გადაწყვეტა სცილდება საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის მინისტრის უფლებამოსილებას, მაშინ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ, უკიდურეს შემთხვევაში, საქართველოს სსრ უზენაესმა საბჭომ, შეაჩეროს სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სამინისტროს აღნიშნული გადაწყვეტილების მოქმედება საქართველოში.**

**3. დაისვას საკითხი უზენაესი საბჭოს წინაშე საქართველოში პრესის გავრცელების დამოუკიდებელი ერთიანი სამსახურის შექმნის შესახებ.**

**თუ ჩვენი მოთხოვნები არ დაკმაყოფილდა, იძულებული გავხდებით, მივმართოთ პროტესტის სხვა, უფრო მძაფრ ფორმებს.**

მიღებულია საქართველოს ჟურნალისტთა დამოუკიდებელი კავშირის გამგეობის პლენუმზე, 1990 წლის 16 აგვისტოს.





# როდემდის?




სამედიცინო ინსტიტუტში შექმნილმა უკიდურესმა სიტუაციამ კიდევ ერთი, ამჯერად მილიციის ზემდეგის 32 წლის ზურაბ ჭინჭარაულის სიცოცხლე შეიწირა. ასეთი განცხადების პასუხისმგებლობას, ცხადია, სრულად ვგრძნობთ. დიახ, სწორედ ეს სიტუაცია აღმოჩნდა საბედისწერო ახალგაზრდა კაცისათვის, რომელიც ოთხშაბათს დილიდანვე სამედიცინო ინსტიტუტთან შექმნილი მდგომარეობის გამწვავების ასაცილებლად თანამშრომლებთან ერთად სამსახურებრივ მოვალეობას იხდიდა და გულის შეტევის გამო საავადმყოფოში მიყვანისთანავე გარდაიცვალა. ასეთი განცხადების უფლებას ისიც გვაძლევს, რომ ამავე მიზეზებით უკვე რამდენიმე ადამიანი გამოესალმა სიცოცხლეს, უფრო მეტი კი ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მოხვდა.

თავის დროზე არასწორად მოხდა ათასობით აბიტურიენტის ჩარიცხვა მოსამზადებელ განყოფილებაზე. ამ პრივილეგიების გაუქმებას კი ის გაუგონარი, უკადრისი სიტუაცია მოჰყვა, რომელიც დიდხანს დარჩება სამარცხვინო ლაქად ჩვენს ისტორიაში. ალბათ, აქ შექმნილი მდგომარეობაც იყო იმის მიზეზი, რომ ასობით სტუდენტმა, როგორც უკვე ვიუწყებოდით, უნივერსიტეტის მაღლივი კორპუსის პიკეტირება მოაწყო. დაბალნიშნიანი აბიტურიენტები და მათი ახლობლები გაუგონარი საშუალებებით ცდილობენ ჩვენს ცოდნის ტაძარში ადგილის დამკვიდრებას.

დღეს კი მოხდა ისე, რომ პირადი ინტერესების გამო ერთმანეთს დაუპირისპირდა ათასობით ადამიანი და კიდევ არ ვიცით, მომავალში ეს რა უარყოფით შედეგებამდე მიგვიყვანს.

სამწუხაროდ, სიტუაციების შეფასებაში აქტიური პოზიციები არ უჭირავთ ინტელიგენციის წარმომადგენლებსაც. მათ, ვისი სიტყვაც ჯერ კიდევ ანგარიშგასაწევია...

ფოტორეპორტაჟი, რომელიც ჟურნალისტმა **ჯემალ კასრაძემ** შემოგვთავაზა, თავისი დოკუმენტურობის მიუხედავად უძლურია გადმოგვცეს ის ნერვიული, ექსტაზამდე მისული ატმოსფერო, რომელიც შექმნილია სამედიცინო ინსტიტუტში.

როდემდის?



ეროვნული ბიბლიოთეკა

# შიდსი რეალური გახდა

## ჩანაწერები ჯანმრთელობის სამინისტროს გაფართოებული კოლეგიის სხდომიდან

— განსაკუთრებული მიზეზებით არის გამოწვეული ჩვენი დღევანდელი შეხვედრა. დღეს ჯანმრთელობის დაცვის მუშაკებისთვის უკვე ცნობილია რესპუბლიკაში შექმნილი კრიტიკული მდგომარეობა — შიდსი შეიძლება ფართოდ მოედოს მოსახლეობას. ბრძოლა მის წინააღმდეგ კარგა ხანია დაწყებულია, მაგრამ მაინც ვერ მოვახერხეთ სტაბილური სიტუაციის შექმნა, — ბრძანა საქართველოს ჯანმრთელობის მინისტრმა ირაკლი მენაღარიშვილმა კოლეგიის სხდომაზე, რომელიც ამ დღეებში გაიმართა სამინისტროში.

კოლეგიაზე მწვავედ დაისვა შიდსის წინააღმდეგ მკვეთრი ღონისძიებების გატარების აუცილებლობის საკითხი. ის ფაქტი, რომ საქართველოში უკვე ორი ადამიანი შეიწირა საზარელმა დაავადებამ, საშიშროების წინაშე აყენებს თითოეულ ჩვენთაგანს. და როგორც იმ სხდომაზე გამოიკვეთა, მიუხედავად ჯანმრთელობის სამინისტროს დიდი მცდელობისა, ეტყობა შიდსთან ბრძოლის დონე სრულიადაც არაა საკმარისი. სიტუაციას ართულებს ჩვენი რესპუბლიკის გეოგრაფიული მდებარეობა, სანიტეპიდემიოლოგიური ღონისძიებების დაბალი დონე, ტურისტთა მიგრაცია და სხვა. მდგომარეობის გაუმჯობესებას ხელს შეუწყობს უპირველესად სამედიცინო საზოგადოების სრული მობილიზება.

ჩვენ არ გვინდა რომ მოსახლეობა პანიკამ შეიპყროს, მაგრამ, ალბათ, უპრიანია საზოგადოებამ ზოგადად მაინც იცოდეს, რა კეთდება დღეს იმისათვის, რათა თავიდან ავიცილოთ შიდსი, რისი გაკეთება შეგვიძლია და რომელ უბანზე გვიჭირს, რა პროფესიულ დონეზეა აყვანილი მასთან ბრძოლა და რითი შეიძლება დავეხმაროთ სამედიცინო სამსახურს.

წელს, პირველად ჩვენს რესპუბლიკაში, შეიქმნა შიდსთან ბრძოლისა და პროფილაქტიკის რესპუბლიკური ცენტრი, გაიხსნა 25 სადიაგნოსტიკო ლაბორატორია. ამ ლაბორატორიაში 1 ივლისისათვის უკვე გამოკვლეული იყო 831000 კაცი, მაგრამ როგორც ხედავთ ეს ზღვაში წვეთია. როგორც ცენტრის ხელმძღვანელმა თენგიზ ცერცვაძემ ბრძანა, განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაა მოსახლეობის იმ კატეგორიის გამოკვლევაში, რომლებიც რისკის ჯგუფს განეკუთვნებიან. ესენი არიან ნარკომანები, ვენერიული სენით დაავადებულნი, ჰომო- და ბისექსუალისტები. ეს გამოწვეულია იმით, რომ არ არის წესრიგში მოყვანილი მათი აღრიცხვის სისტემა. ამ მხრივ სამედიცინო სამსახურს ნაკლებ დახმარებას უწევენ შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოები.

მაგრამ ყველაზე დასანანი ის არის, როგორც კოლეგიის სხდომიდან გამოვიტანე დასკვნა, რომ ამ ავადმყოფებსაც კი, ვინც სტაციონარშია მოთავსებული, ყველას როდი იკვლევენ შიდსზე, ამაზე ხომ მაინც მიუწვდებათ ხელი მედიცინის მუშაკებს?! და კიდევ, თურმე ყველაზე სავალალო მდგომარეობაში ყოფილა ორსულთა გამოკვლევა. მე ცოტა მიჭირს ამის თქმა, მაგრამ დამეთანხმებით — ეს უკვე დანაშაულის ტოლფარდი ხდება და არ ეპატიება არც ერთ ქალთა კონსულტაციას, სამშობიაროს თუ გინეკოლოგიურ განყოფილებას.

გამოდის რომ იმ საშუალებებს, რაც დღეს რესპუბლიკაში გვაქვს, მინიმალურადაც ვერ ვიყენებთ; კოლეგიის სხდომას რაიონული საავადმყოფოების მთავარი ექიმებიც ესწრებოდნენ და არ ვიცი, რას ფიქრობდნენ იმ წუთებში, როცა მინისტრიც, რესპუბლიკის მთავარი სახელმწიფო სანიტარიული ექიმიცა და შიდსთან ბრძოლის ცენტრის ხელმძღვანელიც, შექმნილი მდგომარეობის გამო საკუთარ თავს იდანაშაულებდნენ...

ერთხელ ერთმა ექიმმა პირად საუბარში მითხრა — ჩვენთვის სიკვდილიანობა მხოლოდ სტატისტიკაა. თუ ყველა ექიმი ასე ფიქრობს, წასულა ჩვენი საქმე და ესაა, თუ არა და — ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებს.

ჩვენთვის უკვე ცნობილია, რომ ელისტაში ბავშვების სტაციონარში სამედიცინო ინსტრუმენტების წინასასტერილიზაციო დამუშავების წესების დარღვევამ საშინელი ფაქტის წინაშე დაგვაყენა — სტაციონარში სამკურნალოდ მყოფი ბავშვები ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსით დასნებოვნდნენ.

როგორ არის ამ მხრივ მდგომარეობა ჩვენთან? თურმე სავალალოდ. რომ ჩამოვთვალოთ, სად რა დარღვევებია, უშველის ეს საქმეს? განა საკმარისი არ არის, რომ ისევ პირველყოფილი სამედიცინო ტექნიკით მუშაობს ჩვენი მედიცინა, ხელოვნური დარღვევებიც რომ არ დავუმატოთ?

როგორც ირკვევა, ძალზე ცუდად დგას შიდსის ლიკვიდაციაში ქართველ ექიმთა კორპუსის მომზადების საკითხი. მაშინ როცა ამ დაავადებასთან ბრძოლის ეფექტურობისათვის ყველაზე მნიშვნელოვანია მისი ადრეული გამოვლენა, კლინიცისტების პროფესიული დონე ძალზე დაბალია. საქართველოში 26 ათასი ექიმი გვყოლია. დახელოვნების ინსტიტუტში კი წელიწადში მხოლოდ 2 ათასი ექიმის კვალიფიკაციის ამაღლებაა შესაძლებელი. დასკვნების გამოტანა თქვენთვის მომინდვია.

ძალზე შემაშფოთებლად გამოიყურება შიდსის სამკურნალო პრეპარატის — რეტრომბინის — შესყიდვის საკითხიც. ჩვენს რესპუბლიკაზე რომ აღარა ვთქვათ, მთელს კავშირში ჯერ მხოლოდ ბავშვების სამკურნალოდ მოუხერხებიათ მისი შეძენა და ისიც ძალზე მცირე რაოდენობით. საქართველოში ახლა უცხოეთის ფირმებთან ერთობლივი საწარმოების შექმნის, საზღვარგარეთ ჩვენი ძვირფასი ნედლეულის გატანის ბუმია. რა შემოგვაქვს სანაცვლოდ კიდევ სხვა რამ არ ვიცი, მაგრამ ერთი რამ კი თქვენთვისაც ცნობილია — დიდძალი რაოდენობით მაგნიტოფონები, „დუბლიონკები“, ვიდეოები, საკონდიტრო ნაწარმი, უცხოური მანქანები... გიყვარდეს, ეს ყველაფერი კარგია დალხენილი კაცისთვის, მაგრამ ერთი რამ ვერ გაგვიგია — ვის ულხინს დღეს ასე საქართველოში? შიდსისაგან ღმერთმა დაგვიფაროს, მაგრამ ბავშვი რომ ავად გაგიხდეს, ანალგინსაც ველარ შეიძენ აფთიაქში...

შიდსის ტოტალური კრიზისის პერიოდში ვიმყოფებითო, ბრძანა ბატონმა ირაკლი მენაღარიშვილმა. არადა ეს დაავადება ხომ ვერ გამოარჩევს ვის შეეყაროს და ვის არა? ამ საშიშროების წინაშე ხომ თავად ექიმებიც დგანან? იქნებ ძალზე გულუბრყვილოდ გამოვიყურები ამას რომ ვამბობ, მაგრამ დღევანდელი ექიმი ავადმყოფის სხეულის დაზიანებულ ადგილს ან ინსტრუმენტს რომ სპირტით დაამუშავებს, რა მკურნალი შეიძლება იყოს. არადა ამას იმიტომ ვამბობ, რომ ძალიან უსუსურად გამოიყურებოდა იმ კოლეგიაზე ზოგიერთი რაისაავადმყოფოს მთავარი ექიმი თავისი არგუმენტებით.

„—შიდსი რესპუბლიკის ერთ-ერთი მთავარი პრობლემაა, შიდსი რეალური გახდა!“ მე ვფიქრობ, ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მოადგილის, რესპუბლიკის მთავარი სახელმწიფო სანიტარიული ექიმის, ბატონ ირაკლი ფალავას ეს სიტყვები სრულად გამოხატავს იმ საშიშროებას, რომლის წინაშეც ვდგავართ და რომელიც სათანადოდ უნდა გავიცნობიეროთ ყველამ.

**ციცინო მჭედლიშვილი**

### ახალციხის სასულიერო სასწავლებლის

# განცხადება

უწმინდესისა და უნეტარესის სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით ქ. ახალციხეში იხსნება სამცხე-ჯავახეთის საეპარქიო სასულიერო სასწავლებელი, რომელსაც ექნება ორი სექტორი: ვაჟთა და ქალთა.

მსმენელნი შეიძენენ დაწყებით საღმრთისმეტყველო განათლებას.

კურსდამთავრებულ ვაჟებს წარმატების შემთხვევაში რეკომენდაცია მიეცემათ თბილისის სასულიერო სემინარიასა და აკადემიაში სწავლის გასაგრძელებლად, ან განწესებულ იქნებიან ეკლესიაში სხვადასხვა თანამდებობაზე, კურსდამთავრებულ ქალებს კი შეეძლებათ იმსახურონ ეკლესიაში მგალობლად, მედავითნედ და სხვ.

წარჩინებულთ რეკომენდაცია მიეცემათ საღმრთო სჯულის მასწავლებლის თანამდებობაზე სამუშაოდ.

საღმრთისმეტყველო დისციპლინების გარდა მოსწავლეები შეისწავლიან ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიას, ფილოსოფიის ისტორიას, უცხო ენას და სხვ. ქალთა ჯგუფში კი დამატებით — ჭრა-კერვას, ქარგვას, გობელენის ქსოვასა და სხვა ხელსაქმეს.

სასწავლებელში მიიღებიან საშუალო სკოლა-დამთავრებულნი ასაკობრივი შეზღუდვის გარეშე.

მოსწავლენი უზრუნველყოფილნი იქნებიან სტიპენდიით, საერთო საცხოვრებლითა და კვებით.

სწავლება ქართულ ენაზე იქნება. პირველ წელს — თეორიული სწავლება, მეორე წელს — პრაქტიკული.

საბუთების მიღება და გასაუბრება დაიწყება 1 სექტემბრიდან, სასწავლებლის შენობაში (ქ. ახალციხე, მესხეთის სახელმწიფო მუზეუმის ტერიტორიაზე) ყოველდღე, 10-დან 16 საათამდე, გარდა შაბათ-კვირისა. სწავლა დაიწყება 14 სექტემბერს.

დაწვრილებითი ცნობებისათვის მიმართეთ სასწავლებლის ადმინისტრაციას, აგრეთვე საფარის მონასტრის ძმობას.

# გელიან სწორედ შენ!

**ქველმოქმედება**, ეს სიტყვა ხშირად ისმის, მაგრამ ვიყოთ გულახდილნი, განა ბევრი ჩვენგანია „მოწყალე გულითა“. გვაინტერესებს კი ვის უჭირს, ვის ჭირდება ჩვენი თანადგომა, არადა, თავად რამდენჯერ გამოგვიცდია მარტოობის საზარელი გრძნობა, როცა ფიქრობ, რომ აღარავის ჭირდები, რომ არ არსებობს ქვეყნად ადამიანი, ვისაც სჯერა და ესმის შენი, ვისაც უყვარხარ. საბედნიეროდ, ეს გრძნობაც წასულა და კვლავ მეგობრებში, შენიანებში მოხვედრილს გიჭირს დაჯერება, რომ არიან ადამიანები, რომელთაც არ გაუღიმა ბედმა, ცხოვრობენ კვლავ მარტოხელანი. იმ შეგრძნებით, რომ ზედმეტნი არიან ამ ქვეყნად.

მარტო თბილისში 8 ათასი ასეთი ადამიანია, უმრავლესობა სიღარიბისა და გაჭირვების ზღურბლზე ცხოვრობს. დააკვირდი და ნახავ ასეთი ადამიანი შენ გვერდითაც ცხოვრობს. მარტოობით გაყინულ ოთახში, ჭამს პურის ნაჭერს, იმიტომ რომ ფული არა აქვს, ან შეიძლება ძალა არა აქვს, რომ სახლიდან გავიდეს, რამენაირად ამ დღესაც გაიტანს, იმედით, რომ ხვალ გვერდზე იხილავს კეთილ სახეს, იგრძნობს სითბოს თანადგომისას. ასე ლოდინში გადის დღეები, კვირეები, თვეები... მაგრამ არ ჩანს ის, ვისაც ასე დიდი ხნის ლოდინით ელოდა... არავინ არ მოდის.

ამაზე ფიქრიც ძნელია, მაგრამ ვინ იტყვის დარწმუნებით რომ, როდისმე მის ადგილზე არ აღმოჩნდება? ღმერთმა დაგიფაროთ ასეთი ბედისაგან. იცხოვრეთ სავსე ცხოვრებით, მაგრამ დაფიქრდით! დაფიქრდი, იქნებ სწორედ შენი თანადგომა, შენი გალიმება დააკლდა ვილაცას, რომ ფეხზე წამომდგარიყო და ცხოვრების სიხარული ეგრძნო.

სანამ გვიან არ არის, გამოფხიზლდი! ბევრნი არიან, ვისაც დახმარება, შველა ჭირდება, ვისი გადარჩენაც ჯერ კიდევ შეიძლება და აუცილებელიცაა. მათ კიდევ სჯერათ და გელიან სწორედ შენ. თუ შეგიძლია იყო თანამდგომი, შეგიძლია გულთან მიიტანო სხვისი გაჭირვება, ნუ გადადებ ხვალისთვის, ამით საკუთარ თავსაც დაეხმარებით გაჭირვების და ტკივილის დაძლევაში. იჩქარე, ხვალ შეიძლება იყოს გვიან.

დაფიქრდი და თუ გადაწყვეტ, მოდი ჩვენთან, თუმცა ჯერ-ჯერობით მუდმივი შენობა არ გაგვაჩნია, ჩვენ გელით შენ შემდეგ მისამართზე:

**თბილისი, კანკავას ქ. № 8. სრულიად საქართველოს საქველმოქმედო საზოგადოება „სავანეთა“.**

# წერილი რედაქციას

თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატ „საქართველოს“ მშრომელები დიდი ინტერესით ვადევნებთ თვალს ქვეყნის ცხოვრებაში მიმდინარე ძვრებს და მტკიცედ გვწამს, რომ ჩვენი ეკონომიკის ჩამორჩენის დაძლევა, ხალხის მდგომარეობის გაუმჯობესება მხოლოდ მართვის ახლებური მეთოდებით არის შესაძლებელი.

დღეს ხომ ყველასათვის ნათელია, რომ პროგრესული ძვრების ერთ-ერთი სწორი გზა შრომითი კოლექტივებისათვის ეკონომიკური დამოუკიდებლობის მინიჭებაა, რომელიც შეიცავს სწორედ იმ მატერიალურ და მორალურ წანამძღვრებს, რომლებსაც შესწევს ძალა უზრუნველყოს ქვეყნის გამოყვანა კრიზისიდან, ამიტომაც მიგვაჩნია, რომ ეკონომიკური დამოუკიდებლობისაკენ კომბინატის შრომითი კოლექტივის სწრაფვის შეფერხება გამოიწვევს შრომის ეფექტურობის დაქვეითებას, პროდუქციის მოცულობისა და ხარისხის გაუმჯობესებისადმი ინტერესის შენელებას, რაც თავისთავად იმას ნიშნავს, რომ არც ჩვენ და არც რესპუბლიკა არ იქნება საერთაშორისო ბაზარზე კონკურენტუნარიანი და, მაშასადამე, ეკონომიკურად ძლიერი.

გარდაქმნის საწყის ეტაპებზე კი ვაკრიტიკეთ წინა პერიოდებში შექმნილი ვითარება, — მაგრამ რაც უფრო დიდხანს ვცხოვრობთ გარდაქმნის პირობებში, ცხოვრების ბევრ მნიშვნელოვან უბანზე კვლავაც მწვავედ იგრძნობა მტკივნეულ პრობლემათა გადაწყვეტის გაჭიანურება, ძველი მართვის ადმინისტრაციულ-მბრძანებლური სტილის დაუძლევლობა და რაც ესოდენ საგანგაშოა, ეს ღრმად იკვეთება ზევით ზედა ეშელონებში. ამ მიზეზით კი კომბინატი დღესაც, ქვეყნის ეკონომიკური კრიზისის ამ რთულ პერიოდშიაც კვლავ ხელფეხშებორკილი არის, რადგან მმართველობის აპარატი კვლავ ძველებურად მოქმედებს.

კომბინატის კოლექტივმა, რომელმაც ირწმუნა ახლებური, ამაღლებული ცხოვრების პერსპექტივა და დაძლია მრავალი სიძნელე, ზემდგომი ორგანოების წინაშე დააყენა საკითხი ეკონომიკური დამოუკიდებლობის შესახებ, რაც დღემდე გადაუწყვეტელია.

წინააღმდეგობათა არსებობა ჩვენს კოლექტივსა და აღნიშნულ ზემდგომ ორგანოს შორის მარტო ეკონომიკურ ჭრილში როდი არსებობს. დღემდე გადაუწყვეტელია სხვა ისეთი საკითხებიც, რომლებიც არც კაპდაბანდებას და არც რაიმე სახსრებს არ ესაჭიროება, ვერ იქნა და ვერ გადაწყდა წარმოებიდან სახმილების ორგანოს მუშაკთა გამოყვანის საკითხი, რის ირგვლივაც დღეს ყველაფერი ნათელია და ამ საკითხის გაჭიანურება მხოლოდ ზერელობასა და საქმისადმი დაუინტერესებლობას შეიძლება მიეწეროს.

ასევე არ მოგვცა თანხმობა საქართველოს მინისტრთა საბჭომ (?!) კოლექტივის სახელწოდება „საბჭოთა საქართველოს“ „საქართველოთი“ შეცვლის თაობაზე. არც ჩვენი ერთ-ერთი უმძიმესი საბინაო პრობლემის გადაწყვეტის მიმართაც არ იგრძნობა ზემდგომი ორგანოთა საჭირო დაინტერესება. სხვა საკითხები რომც არ ჩამოვთვალოთ, აქედანაც კარგად ჩანს, რომ ჩვენი მშრომელების როგორც ეკონომიკური, ასევე პოლიტიკური მოსაზრებანი და შეხედულებანი, მათი განხორციელების გზები კვლავაც შეზღუდულია. კოლექტივს, მის მშრომელებს ექმნება შთაბეჭდილება, რომ ის ხელმძღვანელები, ვინც უნდა იყვნენ გარდაქმნის ავანგარდში და აჩქარებდნენ პროცესებს — პირიქით, ამუხრუჭებენ მას, ართულებენ საკითხების მოგვარებას — სამშობლო კი განსაცდელშია. არა გვგონია საქმისადმი ასეთი მიდგომით ჩვენმა ქვეყანამ თავი დააღწიოს ეკონომიკურ კატასტროფას. არა და ჩვენ არ შეგვიძლია ძველებურად ცხოვრება, დროულად უნდა გადაწყდეს ის საკითხები, რომლებიც დღეს შეიძლება გადაწყდეს, საჭირო არ არის ყველაფერში ველოდოთ მიმდინარე ხუთწლედის დამთავრებას, საჭიროა ახლებურად გავიზიაროთ სახელმწიფოს ეკონომიკური მართვის, მისი რადიკალური გარდაქმნის საკითხები, რათა წაქცეული ეკონომიკა ფეხზე იქნეს წამოყენებული, — ჩვენს მშრომელებს კი ასეთ ვითარებაში მიეცეს პასუხი — ზემდგომი ორგანოების ქმედება კოლექტივის მიმართ შეესაბამება თუ არა მიმდინარე გარდაქმნის კურსს?!

**მამია თეწიეშვილი,**
**კომბინატის დირექტორი.**

**მელიტა რევაზიშვილი,**
**შრომითი კოლექტივის საბჭოს თავმჯდომარე.**

# ათი ძიძა და



ანზორ შიოლაშვილი, იურისტი: წლების მანძილზე ვმუშაობდი ზემო ავჭალის არასრულწლოვანთა კოლონიაში. ახლა თავს ვიკავებთ უბრალო დანაშაულისათვის მოზარდის აქ მოთავსებისაგან. მაგრამ თავდებით ერთხელ განთავისუფლებული გონს როდი მოდის, მეორედ, მესამედ ჩადის დანაშაულს. დაუსჯელობის იმედი არავის არ უნდა ჰქონდეს, მით უმეტეს არასრულწლოვანს. მაგრამ სასჯელი მათ ნორმალურ პირობებში უნდა მოიხადონ. ამგვარი დაწესებულება კი დღეს არა გვაქვს.

**ამჟამად რესპუბლიკის შინაგან საქმეთა ორგანოებში სხვადასხვა სამართალდარღვევისათვის აღრიცხვაზეა 2 194 მოზარდი, მათ შორის, საშუალო სკოლის მოსწავლეა 196, პროფტექნიკური სასწავლებლის—537, არ სწავლობს და არ მუშაობს 217, მდედრობითი სქესისაა 59, ერთი მშობელი ჰყავს 242-ს, არცერთი — 30-ს.**

# ერთი შვილობილი



## აკაკი წერეთელი — 150

# აკაკი და კახეთი



**ამ წერილში** მინდა მოგითხროთ აკაკი წერეთლის მოგზაურობაზე კახეთში. პოეტი ოთხჯერ ყოფილა კახეთში. პირველად 1882 წლის აგვისტო-სექტემბერში, გომბორზე გამავალი გზით.

პოეტი ამავე გზით თელავში მეორედ ჩამოსულა 1897 წლის სექტემბერში. ამ მოგზაურობის მთავარი მიზანი იყო „ალავერდობის" დღესასწაულზე დასწრება. როგორც ცნობილია, მოთხრობა „ბაში-აჩუკი" გამოქვეყნდა 1896 წელს. ჩანს, რომ აკაკი ლიტერატურული წყაროებით იცნობდა ალავერდის ტაძარსა და „ალავერდობას", ხოლო 1897 წელს უშუალოდ დაესწრო დღეობას.

აკაკი წერეთელი თელავში მესამედ ჩამოსულა 1898 წელს, დასწრებია „ალავერდობას". მას არ ჰქონია საზოგადოებასთან შეხვედრები; უცხო სტუმარი ახლდა თურმე და კერძო მასპინძელი ჰყოლიათ.

აკაკიმ კახეთში მეოთხედ იმოგზაურა 1911 წლის ივლისში. ივლისის 20-ში (ძვ. სტილით) თელაველებს დაწესებული ჰქონდათ „ილიაობა". პოეტი საგანგებოდ ჩამოვიდა „ილიაობის" ცერემონიალზე დასასწრებლად.

აკაკი წერეთელმა კახეთში 1882, 1897 და 1911 წლების მოგზაურობის დროს საზოგადოებასთან შეხვედრებისას წარმოთქვა სიტყვები, რომლებიც წარმოადგენდნენ მჭერმეტყველების უბადლო ნიმუშებს, გარდა ამისა, აკაკიმ, მეორე მოგზაურობის შემდეგ (1897 წ.), ცალკე სტატიად გამოაქვეყნა „კახეთში მოგზაურობა", რომელშიც გულმართლად აღწერილია კახელ მშრომელთა მაშინდელი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის მკვეთრი სურათები, გადმოცემულია ამ დუხჭირი მდგომარეობით გამოწვეული გულისტკივილი და აღშფოთება.

კახეთში პოეტის პირველი მოგზაურობის დროს (1882 წ.) თელაველი მასპინძლები ცხენებზე ამხედრებულნი შუამთის მონასტრის მიდამოებში შეეგებნენ ძვირფას სტუმარს. აკაკის მოუწადინებია და აქვე მოუხილავს ალექსანდრე ჭავჭავაძის საფლავი, რომელიც მდებარეობს ახალი შუამთის ტაძარში. პოეტმა ამ შემთხვევასთან დაკავშირებით დაწერა ფრიად საყურადღებო ლექსი: „თ-დი ალექ. ჭავჭავაძის საფლავზე" (1882 წელი, აგვისტოს 14-ს, შუამთა).

თელავის საზოგადოებამ საზეიმო ვითარებაში მიიღო აკაკი წერეთელი; მასპინძლებს არ დაუზოგავთ არაფერი, რათა გამოეხატათ უსაზღვრო სიყვარული და გულითადი პატივისცემა სანატრელი სტუმრისადმი.

იმ დროის პროგრესულმა პრესამ ასე შეაფასა აკაკის კახეთში ყოფნა, „ნეტარია კაცი, როდესაც მას თავისი უშზაკვრო ნიჭითა და შრომით დაუმსახურებია ხალხის ამგვარი სიყვარული და ყურადღება".

ილია ჭავჭავაძე ამ ფაქტთან დაკავშირებით წერდა: „ჩვენდა სასიხარულოდ, ჩვენშიაც თითქოს ჩვეულებად შემოდის პატივისცემა ერისათვის გარჯილი კაცისა, საჯაროდ გადახდა მადლის მისი — ვინც ერისათვის სამსახური რამ გაუწევია, შრომა დაუდვია, სიტყვით თუ საქმით შესწევნია თავის მამულსა და თანამემამულესა. ამის მაგალითი ბ-ნ აკაკი წერეთლის მოგზაურობაა ამას წინათ

ეროვნული ბიბლიოთეკა



## ვიქტორ მოსიძე:

# ჩვენს სახლს ჩვენვე მოვუაროთ

ამას წინათ ჩვენს გაზეთში გამოქვეყნდა ინტერვიუ, რომელშიც საუბარი იყო ქალაქში გამეფებულ უსუფთაობაზე, მღრღნელებთან ბრძოლაზე. ამ თვალსაზრისით, შეიძლება ითქვას, რომ მდგომარეობა უფრო გაუარესდა. მოსახლეობა უკმაყოფილებას გამოთქვამს თვეობით დაუსუფთავებელი ნაგავშემკრებების გამო. გამოსავალი ყველამ უნდა ვეძიოთ.

ქალაქის სადეზინფექციო სადგურის მთავარი ექიმი ვიქტორ მოსიძე კონკრეტულ, ჩვენი აზრით, მეტად საინტერესო და საყურადღებო წინადადებას გვთავაზობს. იმედია, ამ იდეას ფართო მხარდაჭერა ექნება საზოგადოებრიობის მხრიდან.

ალბათ, დამეთანხმებით, რომ განვითარებული ქვეყნები მხოლოდ დემოკრატიულობის თვალსაზრისით როდია ჩვენთვის მისაბაძი. მისაბაძია მათი ქალაქების სისუფთავე, მოსახლეობის სანიტარიული კულტურა. მომავალში, თავისუფალ საქართველოში პოლიტიკური თუ სხვა მიზნით უცხოელების მოპატიჟება ბინძურ ქალაქში არ უნდა მოგვიხდეს. დღეისათვის კი ჩვენთან კერძოდ, თბილისში სანიტარული მდგომარეობა საგანგაშოა. ამან ხელი შეუწყო მავნე მღრღნელების და მწერების მეტისმეტ მომრავლებას, რასაც შეიძლება სხვადასხვა ინფექციის გავრცელება მოჰყვეს. მიმაჩნია, რომ ჩვენს სადეზინფექციო სადგურს, რომლის ერთ-ერთი ფუნქცია მავნებლებთან ბრძოლაა, მუშაობის სათანადო პირობები არა აქვს. კერძოდ, ჩვენ შევქმენით ქართული სადეზინფექციო საშუალება „თამთა", აგრეთვე მცენარეული შხამისგან დავამზადეთ მღრღნელებთან ბრძოლის საშუალებაც, მაგრამ მათი გამოყენება მხოლოდ მაშინ იქნება ეფექტური, როცა რაიაღმასკომებთან არსებული სპეცავტომეურნეობათა მუშაკები ქალაქში სანიმუშო სანიტარულ წესრიგს დაამყარებენ, რაც ვერ ხერხდება მუშახელის ნაკლებობისა თუ სხვა მიზეზებით. ამიტომაც „ბუნკერები" ნაგვისაგან თვეობით გაუწმენდელია.

სადეზინფექციო სადგურმა განიზრახა 10-17 სექტემბერს მოაწყოს დედაქალაქის ერთიანი დასუფთავებისა და დეზინფექციის კვირეული. ამიტომაც თხოვნით მივმართავ როგორც ოფიციალურ ხელისუფლებას, ასევე არაფორმალურ გაერთიანებათა ხელმძღვანელებს, ინტელიგენციის წარმომადგენლებს, მოუწოდონ ახალგაზრდობას ჩაებან ამ კეთილშობილურ საქმეში, რათა სპეცავტომეურნეობის მუშაკებთან ერთად მონაწილეობა მიიღონ საკუთარი კორპუსების სარდაფების, სადარბაზოების, მიმდინარე ტერიტორიის ნაგვისაგან, ზედმეტი ნივთებისაგან დასუფთავებაში.

პატრიოტიზმი ხომ საკუთარი ქალაქის სიყვარულსაც ნიშნავს. ეს კი ამ კონკრეტული და საშური საქმითაც უნდა გამოიხატოს. ჩვენს ქალაქს ხომ ჩვენ უნდა მოვუაროთ.

კვირეულში მონაწილეებს ჩვენ ფულადი პრემიებითაც დავასაჩუქრებთ. ახალგაზრდობას უმორჩილესად ვთხოვთ, დაგვიკავშირდნენ ტელეფონით 73-59-02 ქალაქის სადეზინფექციო სადგურში, რომელიც კვირეულის დღეებში მობილიზაციის ნამდვილ შტაბად უნდა ვაქციოთ.

**ვიქტორ მოსიძე,**
**თბილისის სადეზინფექციო სადგურის მთავარი ექიმი.**

# ბიბლიის კითხვისას

**ბიბლია...** სახარება... ძველი ალთქმა... ახალი ალთქმა...

რა მაგიური შინაარსის შემცველი სიტყვებია, რომელიც ადამიანის სმენას ბავშვობიდანვე ესალბუნება.

ბიბლია... რა მრავლისმომცველი და თანაც მარტივი სიტყვაა. „ბიბლია" ძველბერძნულ ენაზე ნიშნავს წიგნებს, წიგნების კრებულს, რამეთუ კანონიკური ბიბლია ძველი ალთქმის 51 და ახალი ალთქმის (იგივე სახარება, ევანგელია) 27 წიგნისაგან შედგება.

ბიბლია არის რელიგიური, მორალური, მხატვრული, ისტორიული, ფილოსოფიური, ეთნოგრაფიული, იურიდიული ხასიათის წიგნთა უდიდესი კრებული, რომელიც კი კაცობრიობას თავისი არსებობის მანძილზე შეუქმნია.

უკანასკნელი 2500 წლის განმავლობაში ბიბლიის მაღალჰუმანური იდეები ჰკვებავენ ადამიანთა საზოგადოებას. ბიბლიური იდეები და თემატიკა ასაზრდოებდა ისეთ გიგანტებს, როგორიც იყვნენ რუსთაველი, მიქელანჯელო, ლეონარდო და ვინჩი, რაფაელი, ტიციანი, ელ გრეკო, ბოსხი, რემბრანტი, ბახი, ჰენდელი, მოცარტი, ვერდი, ვაგნერი, ვალერი, გოეთე, დოსტოევსკი, თომას მანი და მრავალი სხვა.

ბიბლია საოცარი წიგნია. ადამიანი მას მთელი ცხოვრების მანძილზე ეწაფება, კითხულობს. კითხულობს ისე, რომ ბოლომდე ვერ გაითავისებს, ბოლომდე ვერ ჩასწვდება. ბიბლია ჰორიზონტს ჰგავს, რომელსაც რამდენადაც უახლოვდები, იმდენად უფრო შორს იწევს, მაგრამ ბიბლიას აქვს მადლის გაცემის უნარიც. იგი გულს უშლის მის სიბრძნეს დაწაფებულ მკითხველს, მისი მადლი უხვად გადმოდის გულმართალ მკითხველზე.

ისევე, როგორც უსასრულოდ შეიძლება ბიბლიის კითხვა, ასევე უსასრულოდ შეიძლება მასზე საუბარი. ამჯერად მკითხველს მინდა, გავუზიარო ან იქნებ შევახსენო რამდენიმე ბიბლიური შეგონება.

ეგვიპტეში მონებად ყოფნის 400 წლის შემდეგ, ძველი წელთაღრიცხვის XIII საუკუნეში, ებრაელები ღმერთისაგან რჩეული თვისტომის — მოსე წინასწარმეტყველის თაოსნობით სტოვებენ ეგვიპტეს და მიემართებიან ალთქმულ ქვეყნისაკენ — ქანაანისაკენ. მოსემ თავისი მოდგმის ხალხი საოცნებო ქვეყანაში არა უმოკლესი საქარავნო, ხმელთაშუაზღვისპირას გამავალი გზით, არამედ უგრძესი, სინას ნახევარკუნძულის უდაბნოებზე გამავალი გზით შეიყვანა. მოსემ ებრაელები უდაბნოებზე 40 წელი ატარა, ვინემ გზაში არ დაიხოცა ეგვიპტეში — მონობაში დაბადებული თაობა, რამეთუ მონობაში დაბადებული არ შეიძლება იყოს თავისუფალი.

სინას ნახევარკუნძულის სამხრეთ ნაწილში ქორების მთებზე ასულ მოსე წინასწარმეტყველს გამოეცხადა ღმერთი, რომელმაც მოსეს აუწყა ებრაელთათვის გადასაცემი მცნებები. აქედან მოსემ ათი მცნება ფიქალებზე აღბეჭდა და დაუწესა თავის ხალხს.

ვფიქრობ, არ იქნება ზედმეტი გავიხსენოთ ეს მცნებები.

1. მე ვარ უფალი, თქვენი ღმერთი, რომელმაც გამოგიყვანეთ ეგვიპტელთა ქვეყნიდან, მონობის სახლიდან. არ გაიჩინოთ ჩემს გარდა სხვა ღმერთები.

[illegible] არ ჰქმნა თავისა შენისა კერპ[illegible] არც რამე ხატი იმისა, რაც [illegible] მაღლა ცაში, დაბლა მიწაზე და [illegible]ყალში მიწის ქვეშ.

3. [illegible] დაიფიცო ფუჭად უფლის შენი [illegible]თის სახელი, რადგან დაუსჯელ[illegible] არ გადაურჩება უფალს მისი სახე[illegible]ის ფუჭად მოფიცარი.

4. გახსო[illegible]კდეთ შაბათი დღე, რომ წმიდა ჰყო იგი. ექვს დღეს იმუშავე, და აკეთე შენი საქმეები; მეშვიდე დღე კი უფლის შენი ღვთის შაბათია. არა საქმე არ გააკეთოთ, არც შენ, არც შენმა ვაჟმა, არც შენმა ასულმა, არც შენმა ყმამ, არც შენმა მხევალმა, არც შენმა პირუტყვმა, არც შენმა მდგმურმა, სახლში რომ გყავს. რადგან ექვს დღეში შექმნა უფალმა ცა და მიწა, ზღვა და ყველაფერი, რაც მასშია, და მეშვიდე დღეს შეისვენა; ამიტომაც აკურთხა უფალმა შაბათი დღე და წმიდაჰყო იგი.

5. პატივი ეცი მამას და დედას, რათა დღეგრძელი იყო მიწაზე, რომელიც უფალს, შენს ღმერთს მოუცია შენთვის.

6. არა ჰკლა.

7. არ იმრუშო.

8. არ იქურდო.

9. არ გამოხვიდე ცრუ მოწმედ შენი თვისტომის წინააღმდეგ.

10. არ ინდომო შენი თვისტომის სახლი; არ ინდომო შენი თვისტომის ცოლი, არც მისი ყმა, არც მისი მხევალი, არც მისი ხარი, არც მისი სახედარი, არც არაფერი მისი ქონებიდან (გამოსვლა, 20, 2 — 17).

ჭეშმარიტად, ეს არის ყველაზე დიდი სიბრძნე, სიკეთე, რომელიც საერთოდ ადამიანთა მოდგმას მიულია.

ათი მცნება თითქმის უცვლელად მიიღო ქრისტიანულმა სარწმუნოებამ. ისინი იქცა მის ქვაკუთხედად, იმ განსხვავებით, რომ მოხდა მათი კონკრეტიზაცია, განმარტება, დაზუსტება. ასე მაგალითად, ქრისტე თავის მოწაფეებს მიმართავს:

„თქვენ გსმენიათ წინაპართა მიმართ თქმული: არა კაც-ჰკლა; ხოლო ვინც მოჰკლავს, სამართალში უნდა მიეცეს" (მათე, 5, 21).

შემდეგ: „თქვენ გსმენიათ წინაპართა მიმართ თქმული: არ იმრუშო.

ხოლო მე გეუბნებით თქვენ: ყველამ ვინც ნდომით შეხედა ქალს, უკვე იმრუშა მასთან საკუთარ გულში" (მათე, 5, 27-28).

მართლაც, რომ ძალიან ძნელია იყო ჭეშმარიტი ქრისტიანი!

ქრისტე მოძღვრავს თავის მოწაფეებს:

„თქვენ გსმენიათ, რაი თქმულა: გიყვარდეს მოყვარე შენი და გძულდეს მტერი შენი.

გიყვარდეთ თქვენი მტერნი; დალოცეთ თქვენი მაწყევარნი; კეთილი უყავით თქვენს მოძულეთ და ილოცეთ თქვენსავე მდევნელთა და შეურაცხმყოფელთათვის" (მათე, 5, 43-44).

გიყვარდეთ თქვენი მტერნი — უმაღლესი კრედოა ქრისტიანული მოძღვრებისა.

ერთის შეხედვით არაბუნებრივად ჟღერს მტრის სიყვარული[illegible] ქადაგება, მაგრამ თუ ამ მრწამსს შევხედავთ ჰუმანისტური პოზიციებიდან, მასში დავინახავთ უმაღლესი კაცთმოყვარეობის ღაღადისს. თუ ყველა მტერს თავისი მტერი ეყვარება, მაშინ საერთოდ აღარ იქნებიან მტრები და მტრობა. სიყვარული საყოველთაოდ გაბატონდება. ჭეშმარიტად, სიყვარული არს ღმერთი.

„მოციქულთა საქმეში" ვკითხულობთ:

„ხოლო ყველა მორწმუნე ერთად იყო, და ყველაფერი საერთო ჰქონდათ,

და ჰყიდნენ მონაგებს და ადგილ-მამულს, და უნაწილებდნენ ყველას, ვისაც რა სჭირდებოდა" (2, 44 — 45).

შემდეგ: „ხოლო მორწმუნეთა სიმრავლეს ერთი გული ჰქონდა და ერთი სული; და არავინ იტყოდა საკუთარ ქონებას თავისად, არამედ ყველაფერი საერთო ჰქონდათ.

არავინ იყო გაჭირვებული მათ შორის, ვინაიდან მიწა-წყლისა თუ სახლების მფლობელნი ყიდიდნენ მათ, და მოჰქონდათ საფასური გაყიდულისა და მოციქულების ფერხთით დებდნენ მას; და ეძლეოდა თვითეულს, ვის რა სჭირდებოდა.

ასე იოსებმა, რომელსაც ჰქონდა ყანა, გაყიდა ის, მოიტანა საფასური და მოციქულების ფერხთით დადო" (4, 32 — 37).

ეს მონათხრობი ეხება იუდეის პირველ ქრისტიანულ თემებს.

თანამედროვე მკითხველი ადვილად მიხვდება, რომ აქ განცხადებულია კომუნისტური საზოგადოების ის იდეალი, რომელზედაც ფუჭად ოცნებობდნენ მილიონები. ეს პირველი ქრისტიანული თემები პირველ საუკუნეში წარმოშობილი კომუნებია.

უცნაურია, მაგრამ ფაქტია, რომ მარქსმა და ენგელსმა, როდესაც შეიმუშავეს მეცნიერული კომუნიზმის თავისი თეორია, არათუ ფარზე არ აზიდეს სახარებაში მოცემული კომუნის იდეა, არამედ ქრისტიანობა კრიტიკის ქარ-ცეცხლში გაატარეს და ქრისტიანული იდეები კაცობრიობის მტრად გამოაცხადეს. არ დაგვავიწყდეს, რომ „საქმე მოციქულთა" შეიქმნა 1600 წლითა ადრე, ვინემ იტალიელ ფილოსოფოს თომაზო კამპანელას „მზის ქალაქი", რომელშიც განცხადებული იყო უტოპიური კომუნიზმის იდეები.

ჭეშმარიტად, ამოუწურავია ბიბლიური სიუჟეტები და იდეები. მასში ნებისმიერი ადამიანი თავისთვის საგულისხმო აზრს ამოიკითხავს.

**ჯონდო გვასალია**

# ცხადდება კონკურსი

აჭარის ასსრ კულტურის სამინისტრო აცხადებს კონკურს საქართველოს ეროვნული მოძრაობის მუზეუმის „ქალაქი ბათუმი" დირექტორის ვაკანტურ თანამდებობაზე.

კონკურსში მონაწილეობა შეუძლიათ მიიღონ უმაღლესი ისტორიული განათლების მქონე პირებს, რომლებსაც აქვთ მეცნიერული და ორგანიზატორული მუშაობის გამოცდილება.

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა მიმართონ აჭარის ასსრ კულტურის სამინისტროს მიმდინარე წლის 5 სექტემბრამდე.

მისამართი: ქ. ბათუმი, ლენინის ქ. № 13, ტელ: 3-37-57, 3-37-58.

**რედაქციისაგან: ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ამ განცხადების გამოქვეყნება დაგვიგვიანდა, რის გამოც საჭირო გახდა კონკურსის ვადის გაგრძელება.**

# ყურადღება

**ჰუმანიტარული** ასოციაცია „ქართარზისის" ხათნოების ორდენი შეახსენებს ყველას, ვისაც სურვილი აქვს მონაწილეობა მიიღოს ჰუმანიტარულ მოძრაობაში—„ქვირაში ერთი დღე მოყვასს" და ეს დღე თავის ყველაზე გაჭირვებულ თანამოძმეს დაუთმოს, რომ ორდენის წევრები ტრადიციულად შეიკრიბებიან ქაშუეთის ტაძრის ეზოში შაბათს, 18 აგვისტოს, 11 საათისათვის.

თბილისელთა თხოვნით, მომავალი კვირიდან გაცნობებთ ხოლმე იმ ორგანიზაცია-დაწესებულებებს, რომელთა კოლექტივებს თავიანთი პირადი დანაზოგით წვლილი შეაქვთ ამ მოძრაობაში.

**ხათნოების ორდენი**
**(ჰუმანიტარული ასოციაცია „ქართარზისი")**

# გიორგი ბრწყინვალე

„მონღოლთა ბატონობის გადავარდნით ქართველ ერს გათენება ვერ ეღირსა: ის ძალით თუ ნებით სპარსელებს რო(მ) გააგდებდა, უკან მობრუნებულს შინ თურქები ხვდებოდნენ და პირიქით...“

**ნიკო ინასარიძე.**
**პარიზი, 1946 წ.**

1318 წელი იდგა... . ევროპაში ის იყო გამოსცადეს ცეცხლმსროლი იარაღი. იტალიაში, მშობლიური ფლორენციიდან განდევნილი დიდი დანტე ალიგიერი ცხოვრების ბოლო წლებს ითვლიდა... რუსეთსა და საქართველოში კი მონღოლები ბატონობდნენ. ოღონდ რუსეთში ოქროს ურდო განაგებდა ქვეყანას, საქართველოში — ილხანები ანუ ჰულაგუიანები.

საილხანო — უზარმაზარი იმპერია, ამუდარიიდან — ეგვიპტემდე და კავკასიის მთებიდან მდინარე ევფრატამდე იყო გადაჭიმული. მაგრამ ყველაფრიდან ჩანდა, რომ ამ ხელოვნურად შეკოწიწებულ ქვეყანას ციებ-ცხელება შეჰყროდა. იმპერიის სხვადასხვა კუთხიდან შემაშფოთებელი ცნობები მოდიოდა: ჩრდილოეთიდან საზღვარი დაარღვია ოქროს ურდოს ყაენმა უზბეკმა, დასავლეთიდან საილხანოს მოადგა დაუძინებელი მტერი, ეგვიპტის სულთანი, აღმოსავლეთში — ხორასანში აჯანყებამ იფეთქა და დამოუკიდებლობა მოითხოვა მეფისწულმა იასავურმა. ყოველივე ამას დაერთო ფრიად უსიამოვნო ცნობა „გურჯისტანიდან“. მცირეწლოვან ყაენს მოახსენეს: საქართველოში აჯანყდა ადგილობრივი, მონღოლური გარნიზონის მეთაური ყურმიში ალინაყის ძეო...

სწორედ ამ რთულ სიტუაციაში გამოცხადდა ახალგაზრდა გიორგი უფლისწული სულთანიეში, საილხანოს იმდროინდელ დედაქალაქში და, მონღოლთა მიერ დაკანონებული წესის შესაბამისად, საქართველოს ტახტზე მეფედ დამტკიცება ითხოვა.

გიორგი V-ის დაბადების თარიღად დაახლოებით 1285-86 წლები უნდა მივიჩნიოთ, რადგანაც სახელოვანი მამის — დემეტრე II-ის (1270-1289), თავდადებულის, სიკვდილით დასჯის წელს ჯერ კიდევ სრულიად „მცირე ყრმა“ ყოფილა. გიორგის დედა, ნათელა სამცხის ათაბაგის — ბექა ჯაყელის ასული იყო. მას დემეტრესთან (რომლისთვისაც მესამე ცოლი იყო) მხოლოდ გიორგი შესძენია. მეფის თანამედროვე მემატიანე გიორგის ობოლ მარგალიტს ადარებს და ამბობს: „ვითარცა მარგალიტისთვის თქმულ არს მარტოება უმჯობესიისათვის, ეგრეთვე გიორგი იპოვა უმჯობესი ყოველთა კაცთა მის ჟამისათა, არაოდენ ხელმწიფეთა, არამედ ყოველთა კაცთა“.

რა მდგომარეობა იყო მისი გამეფებისას საქართველოში? მონღოლთა იმპერიის მესვეურები ალ-ღონეს (ხან რისხვას და ხან საჩუქრებს) არ იშურებდნენ, რათა მაქსიმალურად აეწეწათ დაპყრობილი ქართული სამეფოს შინა ვითარება. ვითარცა ყოველი დამპყრობელი, ისინი ცდილობდნენ შეესუსტებინათ სამეფო ხელისუფლება, მის წინააღმდეგ აემხედრებინათ დიდი ფეოდალები, უცხო ტომელები... და ეს მოახერხეს კიდეც. ერთიან საქართველოს გამოეყო სამცხე-საათაბაგო, იმერეთი; აღმოსავლეთ საქართველოს ტახტზე კი რამდენიმე მეფური ჩამომავლობის პრეტენდენტი ერთდროულად აცხადებდა პრეტენზიას. შეიქმნა „მრავალმეფიანობა“. ოსებსაც უმარჯვიათ შექმნილ სიტუაციაში და დაუწყიათ ჩრდილოეთ კავკასიიდან ჩამოსახლება, ქართლის სოფელ-ქალაქების აოხრება და „ათვისება“. როდესაც ძალიან გაუჭირდებოდათ, მონღოლებს მიაკითხავდნენ ხოლმე. ისინიც, საქართველოში მოსახლე „მცირე ერების დიდი მეგობრებიც“, არასოდეს ეუბნებოდნენ უარს ქართველთა მტრებს დახმარებაზე. მოვლენათა თვითმხილველი ბრძენი ქართველი ისტორიკოსი „ჟამთააღმწერელი“ ხატოვნად აღწერს ერთ-ერთ ასეთ ეპიზოდს: „იწყეს ოვსთა ოხრებად, ხოცად და რბევად და ტყუენად ქართლისა და ქალაქი გორი წარტყუენეს და თვისად დაიჭირეს ოვსთა“. შემდეგ, მისი სიტყვით, ქართლის ერისთავების ბეგა და ამადა სურამელების მეთაურობით ქართველთა ლაშქარი მოადგა გორს და ქალაქის მიმტაცებლებს სასტიკი ომი გაუმართა: „ვითარ მისჭირდა ოვსთა (გორის) ციხიდალმან გადმოუშვეს საბლით კაცი და წარავლინეს მუხრანს მდგომთა თათართა თანა, რათა შეეწივნენ. ვითარცა ესმათ (-თათრებს ოსთა გასაჭირი, ვ. კ.) ჩამოდგეს შუა, შუელა ქმნეს (ოსთა, ვ. კ.) და ზავი“. ამ მძიმე ვითარებასაც გიორგი V დაუდო ზღვარი, მაგრამ ამაზე შემდგომ.

ამ ურთულეს ვითარებაში უაღრესად მძაფრადა ჟღერს ჟამთააღმწერლის მამხილებელი სიტყვები, რომ გლოვისა და დარდის მაგიერ მრავალი ქართველი „განძღა, განსუქნა... და დაუტევა ღმერთი, შემოქმედი თვისი“

მონღოლთა მიერ ტახტის გარშემო მოქსოვილ ინტრიგებში გიორგის უფროსი ძმები, დავით VIII და ვახტანგ III-ც ჩაითრიეს, თავიანთ მემკვიდრეებთან ერთად. ჯერ კიდევ მცირეწლოვან გიორგი V-



საც მოუხდა ამ პოლიტიკურ ბრძოლაში ჩაბმა. დიდი პაპის და აღმზრდელის — ბექა ჯაყელის მიერ ზურგგამაგრებული, 1299 წელს იგი პირველად ეწვია „მაღალ ყაენს“ საილხანოში. თუმცა მას ტახტის მემკვიდრეობაზე მაშინ უარი არ უთხრეს, მაგრამ არც რეალურად მისცეს ხელისუფლება. მხოლოდ დედაქალაქის „მეფედ“ სცნეს იგი. ასეთი არეული სიტუაცია მის სრულწლოვანებამდე გრძელდებოდა... მხოლოდ 1318 წელს დაედო ზღვარი თათრების ცინიკურ თამაშს ქართველი მეფეებით და საქართველოს ბედ-იღბლით...

ოლჯაითუ ყაენი (1304-1317) ფრიად ვერაგულ დაპირებებს იძლეოდა და მის სიცოცხლეში გიორგის ტახტი არ ღირსებია. მაგრამ აი, ერთი სპარსი ისტორიკოსის სიტყვით „გარდაიცვალა უდიდესი ცოცხალთა შორის, რამეთუ სხვები, მასთან შედარებით, აბანოს კარზე დახატულ სურათებს გავდნენ“ და გიორგიც ახალ მბრძანებელს ეახლა. ამ დროის მთელ მახლობელ აღმოსავლეთში და მის ფარგლებს გარეთაც ყველამ კარგად იცოდა, რომ ქვეყანას 12 წლის აბუ საიდი კი არა, გამოცდილი პოლიტიკოსი და გულადი მეომარი — ჩობან ნოინი განაგებდა. ამ ნოინთან ბექა ჯაყელს, სამცხის მეფის ტოლ და ხშირად მასზედ ძლიერ მთავარს, ადრევე კარგი ურთიერთობა ჰქონდა დამყარებული. თავის დროზე მან არაერთხელ მიავლინა გიორგი „ჩოფანს თანა“. ახლაც მას ეახლა დავაჟკაცებული უფლისწული, დემეტრე თავდადებულის უმრწემესი ძე. ჩობანს თავიდანვე დიდი ოპოზიცია გაუჩნდა ყაენის კარზე, რადგან მისი განუსაზღვრელი უფლებებისა ზევრ მედროვეს შურდა; მას უეჭველია ესაჭიროებოდა საიმედო დასაყრდენი. ამიტომაც — „განიხარა ჩოფამ და შეიტკბო (გიორგი, ვ. კ.), ვითარცა შვილი და მოსცა ყოველი საქართველო და ყოველნი მთავარნი საქართველოსანი“! ახლა კი გაეხსნა ხელები მეფე გიორგის. უკან საქართველოში მობრუნებული და საზეიმოდ სვეტიცხოველში ნაკურთხი, იგი ენერგიულად შეუდგა არეული სამეფოს მოწესრიგებას. „და იწყო **მთიებმან აღმოჰვირვებად**“! აღფრთოვანებით გვამცნობს მემატიანე. „მრავალმეფიანობა“ ძირში აღიკვეთა და წარსულს ჩაბარდა. ახლა გორისთვისაც მოიცალა მეფე გიორგიმ. ოსნი, სამი წლის ბრძოლის შემდეგ, სრულიად „განასხნა და აღფხურნა“ არა მარტო გორიდან, არამედ ქართლიდანაც. მონღოლებს ახლა აღარ ეცალათ და აღარც სურდათ კვლავ ეთამაშათ „მცირე ხალხების დამცველთა“ როლი. ჩობანსა და გიორგის შორის მყარი, ურთიერთსასარგებლო კავშირი დამყარდა. ცნობა ამის შესახებ იმდენად გახმაურდა, რომ შორეული ეგვიპტის სულთნის კანცელარიამდეც მიაღწია. არაბი ავტორი ალ უმარი წერდა, რომ „ჩობანი მისი (ქართველთა მეფის, ვ. კ.) უგულითადესი მეგობარია“-ო.

ამავე პერიოდში, მეფე გიორგიმ დიპლომატიური მისია მიავლინა ეგვიპტეში, და მისი მეოხებით სულთანს შეუთვალა ქართველთათვის დაებრუნებინა მიტაცებული იერუსალიმის ჯვრის მონასტრის და მაცხოვრის საფლავის ეკლესიის კლიტენი. მართლაც, ელჩობამ, რომელსაც პიპა, შალვა ქსნის ერისთავის ძე მეთაურობდა, საწადელი აუსრულა მეფეს. „ფრიად განიხარა მეფე გიორგიმ, რამეთუ მოეცეს კლიტენი ქართველთა“, წერს „ძეგლი ერისთავთა“ ავტორი.

1321 წელს განეკუთვნება რომის პაპის, იოანე XXII-ის ჩვენამდე მოღწეული პირველი წერილი „ქართველთა ბრწყინვალე მეფის“ გიორგისადმი. 1329 წელს იმავე პაპმა კათოლიკური სარწმუნოების ფორპოსტი აღმოსავლეთში — სმირნის (იზმირი დღევანდელ თურქეთში) საეპისკოპოსო კათედრა, თბილისში გადმოიტანა. აქვე აღვნიშნავთ, რომ ევროპელ მოგზაურთა ცნობებით, პირველი კათოლიკური ტაძარი თბილისში 1240 წელს აუგიათ. 1318 წელს კათოლიკური კათედრა დაარსებულა ცხუმშიც, რომლის მწყემსმთავრად 1330 წელს დაინიშნა პეტრე ჰერალდი, ტომით ინგლისელი. სასწაულად მოაღწია ჩვენამდე ვრცელმა წერილმა, რომელიც 1330 წელს ცხუმიდან (სებასტოპოლიდან) მას კენტერბერის არქიეპისკოპოსისათვის გაუგზავნია (საინტერესოა, რომ სოხუმს იგი „ქვემო საქართველოს“ ქალაქს უწოდებს).

20-იანი წლების ბოლოს საქართველო პოლიტიკურად და ეკონომიურად მომაგრდა და მისი პრესტიჟი საერთაშორისო თვალსაზრისითაც გაიზარდა. მეფე მხოლოდ ხელსაყრელ მომენტს უცდიდა, რომ რაც შეიძლება უმტკივნეულოდ გადაეგდო მონღოლთა უღელი. ასეთი სიტუაციაც მალე დადგა. სრულწლოვანებას მიღწეული აბუ საიდ ყაენი, რომელსაც ამ დროისათვის უკვე „ბაჰადურის“ (გმირის) წოდებაც მიეღო, უკვე აშკარად მტრულად უყურებდა დიდი ნოინის სრულუფლებიან გამგებლობას. მათ შორის ურთიერთობა დღითიდღე იძაბებოდა. ყაენისა და ნოინის მომხრეებს შორის შეიარაღებული შეტაკებებიც კი ხდებოდა. ბოლოს, ჩობანმა გახიზვნა არჩია და ქ. ჰერათში თავისი მოყვრის ციხე-სიმაგრეს შეაფარა თავი. მაგრამ ციხე-სიმაგრის პატრონმა — ნაშ ად დინმა, უღალატა ჩობანს და 1327 წელს მუხანათურად დაახრჩო იგი თავის ციხეში... ეს დრამატული მომენტი გიორგი V-ს თავისი მიზნების განხორციელებისათვის ყველაზე შესაფერისად მიუჩნევია და ნოინთა უპირველესის, გიორგის მფარველად მიჩნეული ჩობანის მკვლელობისთანავე, საქართველოში აჯანყება მოუწყვია: „მაშინ იცა ჟამი ბრწყინვალე გიორგი მეფემანცა და განასხნა თათარნი საქართველოსაგან, რომელნიმე გონიერებითა, რომელნიმე ბრძოლითა და ძლიერებითა და მოსპნა ყოველნი საზღვართაგან თვისთა“ .(ვახუშტი). მონღოლთა ასი წლის ბატონობის შემდეგ საქართველომ კვლავ აღიდგინა ასე ნანატრი დამოუკიდებლობა. ცხადია, აბუ საიდი და მონღოლთა სხვა მესვეურები ასე ადვილად არ შეურიგდებოდნენ საქართველოს დაკარგვას, ბლოკადასაც გამოუცხადებდნენ და ჯარსაც შეუსევდნენ მას, მაგრამ ამ პრეტენზიებს განხორციელება არ ეწერა. 30-იანი წლებიდან მისი ავტორიტეტი და გავლენა კიდევ უფრო გაიზარდა. 1335 წელს პალესტინაში მოგზაურმა იტალიელმა პილიგრიმმა იაკობო და ვერონამ, როდესაც ქართული მონასტრები მოინახულა, აღნიშნა: „საქართველოს მეფე უძლიერესია“-ო.

1330 წლისათვის გიორგი ბრწყინვალემ კიდევ ერთი დიდი მნიშვნელობის აქცია განახორციელა. იგი ყურადღებით ადევნებდა თვალს დასავლეთ საქართველოში მიმდინარე მოვლენებს. იქ კი დავით ნარინის მემკვიდრენი: კონსტანტინე და მიქელი სასიკვდილოდ შებმოდნენ ერთურთს. ტახტისათვის ბრძოლა 1329 წელს დასრულდა, როცა მთელი დასავლეთ საქართველო მცირეწლოვანი ბაგრატ მიქელის ძის ხელში აღმოჩნდა, რომელმაც „ვერ იკადრა (შესძლო, ვ. კ.) მეფობა, რამეთუ არღარა მოერთნენ ერისთავნი“. გიორგი V ლაშქრით გადავიდა ლიხის ქედზე და ქუთაისს მოადგა, სადაც ბაგრატი გამაგრებულიყო. გიორგიმ მას უვნებლობა აღუთქვა და შორაპნის ერისთავად დააყენა. თვითონ კი მთელი დასავლეთ საქართველოს საქმეები ისე „განაგნა ვითარცა კეთილმან ხუროთმოძღუარმან“. მან მთელი ლიხთ იმერეთი დაიმორჩილა — ლიხის ქედიდან აფხაზეთამდე და სვანეთამდე. ამავე ხანებში მან საბოლოოდ დააკანონა: სამცხის ათაბაგთან (თავისი ბიძების, ბექა ჯაყელის ძეთა) დამტკიცება მხოლოდ და მხოლოდ საქართველოს მეფის კომპეტენციას დაქვემდებარებოდა. ამით მან სამცხე კვლავ შემოუერთა ერთიან საქართველოს. ამ გარემოებას გულისხმობდა ჟამთააღმწერელი, როდესაც წერდა: „იქმნენ ჯაყელნი მორჩილნი ულუსისანი (ე. ი. უშუალოდ მონღოლთა ყაენის მორჩილნი, ვ. კ.) ვიდრემდის ჟამთამდე მეფეთა შორის ბრწყინვალისა და სახიერისა, დლისა გიორგისათა“. ამგვარად, ისეთი დიდი მნიშვნელობის საქმე, როგორიც მთელი საქართველოს დარღვეული ერთიანობის აღდგენა იყო, გიორგი ბრწყინვალემ ძალზე გონივრულად და თითქმის უსისხლოდ განახორციელა.

1332-33 წწ. გიორგი V საფრანგეთის მეფეს ფილიპე VI ვალუას საყურადღებო ეპისტოლე გაუგზავნა. მეფის მიმართვაზე ახალი ჯვაროსნული ლაშქრობა მოეწყოთ, გიორგიმ უპასუხა: „საფრანგეთის ღვთაებრივი ხელმწიფენი ხშირად აღძრავენ აღმოსავლეთის ხელმწიფეებს სარკინოზთა (ე. ი. ურწმუნოთა, ვ. კ.) წინააღმდეგ საბრძოლველად, მაგრამ შემდეგ სტოვებენ მათ მარტოთ ამ მტანჯველ ომში. ამრიგად, გთხოვთ, ჯერ თქვენ გადაწყვიტეთ როდის და სად გადმოლახავთ ზღვას (ხმელთაშუა ზღვას, ვ. კ.) და მეც მყის იქ გავჩნდები თქვენი კეთილი ნების შესაბამისად და 30000 ჯარის თანხლებით“. (ვ. კოჭაძე, ჟ. „მნათობი“ № 4 1983, გვ. 189).

ამ პასუხით ჩანს, რომ მეფეს საკუთარი ძალების რწმენა ჰქონდა. ასე ვერ დაწერდა მონღოლთა ვასალი, თავის ქმედებებში შეზღუდული მეფე.

მონღოლთა უღლის გადაგდებისა და ქვეყნის გაერთიანების გარდა, გიორგი ქვეყნის სულიერ აღორძინებაზე ზრუნავდა. მონღოლთა საუკუნოვან ბატონობას კი არ შეიძლება დაღი არ დაესვა ქართული სახელმწიფოს არსებობის ყველა სფეროზე. გიორგი V-ის დროს მრავალი ეკლესია-მონასტერი აღადგინეს ან ააშენეს. მის დროსაა აღდგენილი სამთავროს ტაძრის გუმბათი, სვეტიცხოველი; მის ზეობაშივე აუგიათ გერგეტის სამება, ცაიშის ტაძარი, დათის ეკლესია (ბორჯომის რ-ნი), ახალი ეკლესია იერუსალიმში და მრავალი სხვა. ვახუშტის ცნობით, XIV საუკუნის 30-იან წლებში გიორგი ბრწყინვალეს საეკლესიო კრებაც მოუწვევია, რომელმაც უღირსნი განკვეთა ეკლესიისაგან. ჩანს, ამ კრებას საქართველოს ორივე კათალიკოსი (ქართლისა და აფხაზეთისა) დასწრებიან.

გიორგი დაუნდობლად უსწორდებოდა იმ ფეოდალებსაც ვინც თავის დროზე „მონღოლებს მიუდგნენ“ და ახლა, დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, კვლავ ძველებურად ირჯებოდნენ. ისინი მეფე გიორგიმ თავის რეზიდენციაში, კახეთის ცივზე მიიწვია და ყველა სიკვდილით დასაჯა.

30-იანი წლების დასაწყისში მეფე გიორგი მთიულეთსაც ეწვია და იქაური საქმეებიც მოაწესრიგა.

1341 წ. გიორგი ბრწყინვალე ტრაპიზონის იმპერიის ტახტის მემკვიდრეობის საქმეშიც ჩარეულა. წყაროთა ჩვენების საფუძველზე, უნდა ვიფიქროთ, რომ მისი დახმარებით შესძლო ქართული ორიენტაციის მქონე ტახტის პრეტენდენტმა ანამ (ანახუტლუდ წოდებულმა) ტრაპიზონში გამეფება.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად სრული სუვერენიტეტისა, მეფე გიორგი საჭიროდ მიიჩნევდა, არ გაეწყვიტა ეკონომიკური კავშირი ყოფილ სიუზერენთან. მან ისიც გაითვალისწინა, რომ არ ივარგებდა საქართველო მოეწყვიტა მსოფლიო საქონელბრუნვისათვის. იმის გამო, რომ, ასი წლის ტრადიციით, მის ახალ, საკუთარ მონეტას „გასავალი საქართველოს გარეთ არსად არ ჰქონდა“ (რაშიდ ად დინი), გიორგი საქართველოში მოჭრილ მონეტებზე კვლავ ჭედდა მონღოლი მარიონეტი ყაენების სახელებს.

მაგრამ დადგა 1346 წელი... მთელ მსოფლიოს შუა აზიაში გაჩენილი შავი ჭირი მოედო. ამ უბედურებას საქართველოც ვერ ასცდა. აქაც ორი წელი მძვინვარებდა საშინელი სენი და ადამიანთა მოღვაწეობის თითქმის ყველა სფერო დათრგუნა და შეარყია. ამავე წელს გარდაიცვალა გიორგი V. არ არის გამორიცხული, რომ ისიც ამ სენის მსხვერპლი გახდა.

გიორგი ბრწყინვალის მოღვაწეობის შეფასება ყველაზე კარგად ვახუშტი ბაგრატიონს აქვს მოცემული და მასვე დავუთმოთ ბოლო სიტყვა:

„ხოლო ამისთვის ეწოდა მეფესა ამას გიორგი ბრწყინვალე, რამეთუ იყო ჰაეროვნებითა, შუენიერებითა და ახოვნებითა უებრო, მოწყალე, უხვი, ობოლთა და ქვრივთა და დავრდომილთა შემწყნარებელი. მეორედ, ვინაიდგან იყო ივერია დაფანტული, სამთავროდ და სამეფოდ დაყოფილი, ამან... ვითარცა აღმაშენებელმან, განავსნა და აღაშენნა ქუეყანანი, რჯული და სამოქალაქო წესნი განაბრწყინვა, ეკლესიანი დარღვეულნი და მოოხრებულნი აღაშენნა, განაახლნა და განანათლნა... სძლო ყოველთა, სადა ჯერ იყო ბრძოლითა და ძლიერებითა და სადა ხამდა — სიბრძნე-გონიერებითა...“

**ვაჟა კიკნაძე**



# ამერიკელი რეჟისორი სოხუმში

მუსიკალურ-სანახაობრივი სპექტაკლით „ერთი ცის ქვეშ“ სოხუმის კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის სახელმწიფო ქართულმა დრამატულმა თეატრმა დაასრულა წლევანდელი თეატრალური სეზონი, რომელიც კიდევ ერთი მეტად მნიშვნელოვანი, შრომატევადი, საინტერესო პერიოდია თეატრის შემოქმედებით ცხოვრებაში.

სეზონის დახურვამდე რამდენიმე დღით ადრე მოეწყო თეატრალური ჩვენება-დათვალიერება მიმდინარე რეპერტუარის განმსაზღვრელი, წამყვანი სპექტაკლებისა. ამ დეკადაზე თეატრს შემოქმედებითი მისიით ესტუმრა ახალგაზრდა ამერიკელი რეჟისორი ოურენ ჯაკობი. წარმოშობით ოურენი ნიუ-იორკიდან გახლავთ, სპეციალობით როგორც თეატრის, ასევე კინოს რეჟისორი და პროდიუსერია. ცოტა ხანია, რაც ოურენ ჯაკობი ცხოვრობს ლონდონში, სადაც თანამშრომლობს კომპანია „ბი-ბი-სი“-ში კინორეჟისორად და პროდიუსერად, მუშაობს როგორც მხატვრულ, ასევე დოკუმენტურ კინოფილმებზე. ამჟამად საბჭოთა კავშირში მიმდინარე გარდაქმნის პროცესებზე იღებს დოკუმენტურ ფილმს — „მეორე რუსული რევოლუცია“.

თავდაპირველად ოურენი გადაღებებთან დაკავშირებით ორი წლის წინათ ეწვია საქართველოს. რამდენიმე ხანს დაჰყო კიდეც თბილისში. ამ პერიოდში ძალზედ მოიხიბლა ქართველი ხალხით და გადაწყვიტა შემდგომში შემოქმედებითი კონტაქტები დაემყარებინა საქართველოსთან.

სოხუმში ოურენი ჩამოჰყვა ალექსეი ალტაევს — ინგლისური ენის მცოდნე თეატრალურ კრიტიკოსს, რომელიც მოღვაწეობს მოსკოვში ჟურნალ „თეატრში“. იგი დიდი ხანია მეგობრობს სოხუმის ქართული თეატრის კოლექტივთან და პირადად სამხატვრო ხელმძღვანელთან გოგი ქავთარაძესთან. ამდენად ალტაევმა ერთგვარი მეგზურობა გაუწია ოურენ ჯაკობს ამ ჩვენება-დათვალიერებაზე, რომლის დროსაც ამერიკელმა რეჟისორმა ნახა ჩვენი თეატრის ყველაზე მნიშვნელოვანი სპექტაკლები: პოლიკარპე კაკაბაძის „ყვარყვარე თუთაბერი“, ნოდარ დუმბაძის „ერთი ცის ქვეშ“, უილიამ შექსპირის „ვენეციელი ვაჭარი“, ჰენრიკ იბსენის „ბრძოლა ტახტისათვის“ და მაქსიმ გორკის „ფსკერზე“.

— სოხუმის ქართული თეატრი თვითმყოფადი ნაციონალური თეატრალური კოლექტივია, — აღნიშნა ოურენ ჯაკობმა, — მოხიბლული ვარ საინტერესო რეჟისორული ნამუშევრებით, მსახიობთა სცენიური ანსამბლურობით, მგზნებარე ტემპერამენტით, ქართული კოლორიტით, იუმორითა და კეთილშობილებით. მინდა გითხრათ, რომ ეს არის ჭეშმარიტად ნამდვილ თანამოაზრეთა თეატრი, რომელიც ერთგულად და კეთილსინდისიერად ემსახურება ერთ საერთო საქმეს — საქვეყნოდ აღიარებულ ქართულ თეატრალურ ხელოვნებას. ვიმედოვნებ, — განაგრძობს ამერიკელი რეჟისორი, — რომ მომავალ თეატრალურ სეზონში სპექტაკლს დავდგამ სოხუმის ქართულ თეატრში და თუ თქვენთან სტუმრობის პირველივე დღეებში გადავწყვიტე ეს, უეჭველია, რომ სპექტაკლის „ერთი ცის ქვეშ“ ნახვის შემდეგ უფრო მოუთმენლად ველი ამ შემოქმედებით შეხვედრას.

ოურენ ჯაკობი დაახლოებით მომავალ გაზაფხულზე აპირებს ჩვენთან ჩამოსვლას. მან უკვე პიესაც კი შეარჩია დასადგმელად. ესაა ფრიდრიხ დიურენმატის ისტორიული დრამა „რომულუს დიდი“. ამასთანავე ამერიკელი რეჟისორი



ვარაუდობს, რომ სოხუმელთა სპექტაკლს „ფსკერზე“, როგორც კლასიკური ნაწარმოების იმპროვიზაციას, შესთავაზებს ექსპერიმენტული სპექტაკლების ფესტივალს, რომელიც ყოველწლიურად ეწყობა ლონდონში.

სოხუმელთა სპექტაკლებს ამ ჩვენება-დათვალიერების დღეებში დაესწრო აგრეთვე სპეციალური კომისია მოსკოვის ხალხთა მეგობრობის სახელმწიფო თეატრიდან — დირექტორის მოადგილე ალექსანდრე ბოლოვინოვი და სამხატვრო ხელმძღვანელის თანაშემწე, თეატრმცოდნე მარინა ასტაფიევა. მეგობრობის თეატრის ამ წარმომადგენლებმა აღნიშნული სპექტაკლებიდან შეარჩიეს „ყვარყვარე თუთაბერი“, „ბრძოლა ტახტისათვის“ და „ფსკერზე“, რათა მომავალ თეატრალურ სეზონში მცირე გასტროლებით მიგვიწვიონ მოსკოვში.

წლევანდელი დეკადა სოხუმის ქართული თეატრისათვის მეტად მნიშვნელოვანი აღმოჩნდა, რადგან შემოქმედებითი კონტაქტები საზღვარგარეთულ თეატრალურ სამყაროსთან კიდევ უფრო ხელს შეუწყობს ჩვენი თეატრის დასის პროფესიონალიზმის ამაღლებასა და ახალი საინტერესო ნამუშევრებით მიმდინარე რეპერტუარის გამრავალფეროვნებას.

**ირმა გოცირიძე,**
**თეატრის ლიტერატურული ნაწილის გამგე, ხელოვნებათმცოდნე.**

**სურათზე:** ამერიკელი რეჟისორი ოურენ ჯაკობი და გოგი ქავთარაძე.

# განცხადება

**სრულიად** საქართველოს ინვალიდთა ასოციაცია იუწყება, რომ ჩამოყალიბდა სამშენებლო საწარმოო გაერთიანება, რომლის გენერალურ დირექტორად არჩეულია შრომის მესამე ჯგუფის ინვალიდი ნანა (ნაილი) გუდაძე, მთავარ ინჟინრად ზურაბ ფირცხალაიშვილი.

ინვალიდთა ასოციაციის სამშენებლო საწარმოო გაერთიანება ყოველნაირად შეუწყობს ხელს ინვალიდთა კეთილდღეობას, მიზნად აქვს დასახული ინვალიდთა სოციალური რეაბილიტაცია, მათი საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება, კერძოდ უბინაო ინვალიდებისათვის კოოპერატიული საცხოვრებელი ბინების მშენებლობა შეღავათიან ფასებში.

სრულიად საქართველოს ინვალიდთა ასოციაციის სამშენებლო საწარმოო გაერთიანება მოგმართავთ თხოვნით ყველა საწარმოებს, ორგანიზაციებსა და კოოპერატივებს გაგვიწიოთ თანადგომა და შესაძლებლობისდა მიხედვით გადმოგვირიცხოთ თანხა შემდეგ საბანკო ანგარიშზე:

სსრკ მრეწვმშენბანკი საქართველოს რესპუბლიკური ბანკის ქ. თბილისი საოპერაციო სამმართველო.

ანგარიში № 000609204.

**სრულიად საქართველოს ინვალიდთა ასოციაციის სამშენებლო გაერთიანება.**

# წერილი „ახალგაზრდა ივერიელს“

საქართველო რომ პოეტების ქვეყანაა, ხოლო მისი დედაქალაქი — თბილისი კი პოეტური ქალაქია, ეს ოდითგანვეა ცნობილი.

რატომ არ შეიძლება, რომ თბილისში გვქონდეს პოეზიისა და ხელოვნების ბაღი?

პოეზიისა და ხელოვნების ბაღი წარმოგვიდგენია არა მხოლოდ სასეირნო, გასართობ, დასასვენებელ ადგილად; მისი გარემო ჩვენი დედაქალაქის თითოეული რაიონისათვის (თბილისის ყველა რაიონში ცალ-ცალკე უნდა გაშენდეს სულ მცირე, 10-15-ჰექტარიანი პოეზიისა და ხელოვნების ბაღი) ეროვნული კულტურისა და ხელოვნების ფართო ასპარეზად უნდა იქცეს, რადგან სწორედ აქ უნდა შეხვდეს ერთმანეთს პირისპირ პოეტი, მწერალი, მუსიკოსი, მხატვარი, მეცნიერი და ხალხი. აქ უნდა ისინჯებოდეს პოეზიის, ლიტერატურის, ხელოვნების ნაწარმოებთა ჰაშნიკი. ასე რომ, პოეზიისა და ხელოვნების ბაღი ჩვენი ეროვნული კულტურის ერთ-ერთ ძლიერ ცენტრად გვესახება. ამასთანავე, თავისი გეოგრაფიული მდებარეობითაც უნდა პასუხობდეს დასახულ მიზანს.

პოეზიისა და ხელოვნების ბაღში არქიტექტურაც ლანდშაფტის შესატყვისი უნდა იყოს. სასურველია ყოველივე აიგოს მხოლოდ კონკურსში გამარჯვებულ ავტორთა ნამუშევრების მიხედვით.

ჩვენზე უკეთ მოგეხსენებათ, რომ ვარკეთილი-3 დასახლება თანამედროვე სტილით ნაგებ კომპლექტთა ერთიან ბლოკს წარმოადგენს, მაგრამ მიუხედავად ამისა, ძალზე ნაკლებად, ანდა საერთოდ ვერ ტოვებს თანამედროვე ქალაქისათვის (მითუმეტეს, დედაქალაქისათვის) შესაფერისი რაიონის შთაბეჭდილებას; უფრო იმის გამო, რომ არ გააჩნია არც ერთი ბულვარი თუ ბაღი თავისი კინოთეატრით, თეატრითა თუ თეატრონებით, სადაც შესაძლებელი იქნებოდა ზემოთ აღნიშნულ პოეზიისა და ხელოვნების ბაღის მსგავსი რაიმე სახის ბულვარისა თუ ტყე-პარკის გაშენება.

**თამაზ ჭარაქაშვილი,**
**ნებული რობაქიძე-ჭარაქაშვილისა,**
**საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომლები.**
**ბესიკ ჭარაქაშვილი.**
**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამთო-საინჟინრო ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტი.**
**ერეკლე ჭარაქაშვილი,**
**თბილისის 178-ე საშუალო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე.**

**საზოგადოებისათვის** ცნობილია, რომ საქართველოში შიდსის გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლის საზოგადოებამ, რომელიც გაერთიანებულია ჰუმანიტარულ ასოციაცია „კათარზისში“, გამოაცხადა კონკურსი შიდსის თემისადმი მიძღვნილი საუკეთესო პლაკატის გამოსავლენად. დაწესებული იყო სოლიდური ფულადი პრემიები. საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მცხოვრებმა თვითნასწავლმა და პროფესიონალმა მხატვრებმა 30 ნამუშევარი წარმოადგინეს საკონკურსოდ. ექსპონატები გამოფენილი იყო მხატვრის სახლში. სამშაბათს, 14 აგვისტოს, საკონკურსო ნამუშევრების გამოფენის დახურვისას, გამოცხადდა კონკურსის შედეგები. ჟიური, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ: ზაურ ალადაშვილი — ჰუმანიტარული ასოციაცია „კათარზისის“ პრეზიდენტი, თამაზ ვარვარიძე — მხატვართა კავშირის პლაკატის სექციის თავმჯდომარე, პაპუნა თოლორაია — ექიმი, ასოციაცია „კათარზისის“ პრეზიდიუმის წევრი, საქართველოში შიდსის გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლის საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარე, მალხაზ კუხაშვილი — საქართველოს ტელევიზიის მთავარი მხატვარი, ნოდარ სუმბაძე — სარეკლამო სააგენტო „მიმინოს“ მთავარი მხატვარი, ერთსულოვნად გადაწყვიტეს პირველი და მეორე პრემია არავის მიკუთვნებოდა. მესამე პრემია,

# კონკურსი დასრულდა

თითეული ხუთასი მანეთის ოდენობით, მიეკუთვნათ: გოჩა პაპიაშვილს, დავით ქაფიშვილსა და დიმიტრი გვასალიას. მხატვრები ვახტანგ კუცია და დიმიტრი თოფურიძე კონკურსში აქტიური მონაწილეობისათვის დაჯილდოვდნენ 200-200 მანეთით. გარდა ამისა, ჟიურის გადაწყვეტილებით, ფასიანი საჩუქრებით დაჯილდოვდა კონკურსის ყველა მონაწილე.

ჟიურიმ მიზანშეწონილად მიიჩნია პრემირებული ნამუშევრების გამრავლება მასობრივი ტირაჟით მათში მცირეოდენი კორექტივების შეტანის შემდეგ. ამ ნამუშევრებს უახლოეს მომავალში გავაცნობთ საზოგადოებას.

საქართველოში შიდსის გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლის საზოგადოება მადლობას მოახსენებს მხატვართა კავშირის პლაკატის სექციასა და მხატვრის სახლის დირექციას თანადგომისათვის.

**საქართველოში შიდსის გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლის საზოგადოება (ჰუმანიტარული ასოციაცია „კათარზისი“).**

# „ჰარმონიაში“, მანანა ჭყონიასთან

**სამედიცინო-აღდგენით** კოოპერატივ „ჰარმონიაში“ მუშაობა დაიწყო ხალხური მედიცინის სპეციალისტმა **მანანა ჭყონიამ.** მის მიერ დამზადებული მცენარეული საშუალებები წარმატებით გამოიყენება თირკმელების ქრონიკული დაავადებების, ქოლეცისტიტის, გასტრიტის, ჰიპერტონიის, კოლიტის, ნერვული სისტემის ფუნქციის დარღვევების დროს.

გარდა ამისა, მანანა ჭყონია ამზადებს მალამოს, რომლითაც მკურნალობს შემდეგ პათოლოგიებს: მასტიტი, ფურუნკული, ჭრილობები, მოტეხილობა, ნაღრძობი, ნერვალგია, სახსრების ანთება, სტაფილოკოკური დერმატიტი.

მან კომბინირებული მკურნალობით შესანიშნავი შედეგები მიიღო ფსორიაზით დაავადებულ ავადმყოფებში. მკურნალმა მრავალ ავადმყოფს მიანიჭა შვება, რაზეც მეტყველებს შთაბეჭდილებების წიგნში ავადმყოფთა მიერ ჩაწერილი მადლობის სტრიქონები.

მანანა ჭყონია ავადმყოფებს იღებს ყოველდღე გარდა კვირისა, სამიდან ხუთ საათამდე, შაბათს — 11-დან 2 საათამდე.

კოოპერატივის მისამართია: თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი № 60 (პროფესიულ დაავადებათა ინსტიტუტის შენობაში). ტელ: 95-68-40.

**ამ გვერდზე გამოქვეყნებული მასალების ჰონორარი გადაირიცხება ხოჯაშვილი მუჯაბის მშენებლობის ფონდში, ასოციაცია „ალორძინების“ ანგარიშზე 100700008 მთაწმინდის რაიონის მინსოცბანკში.**


ახალგაზრდა ივერიელი
Общественно - политическая молодежная газета «Ахалгазрда Ивериели»

ტელეფონები: მისაღები — 98-97-31; პასუხისმგებელი მდივანი — 98-81-56; წერილების განყოფილება — 99-00-49.

გაზეთი გამოდის კვირაში სამჯერ სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს უკან არ უბრუნდებათ.

რედაქტორის მოადგილე
გიგლა გოგერია

საქართველოს კპ ცკ-ის სტამბა 380096, თბილისი-96, გ. კოსტავას ქ. № 14, იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის № 29 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15 Наш индекс 66400

რედაქციის მისამართია
ქ. თბილისი — 380098
მ. კოსტავას ქ. № 14.